საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალაური

კალაური, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), გომბორის ქედის ჩრდ.- აღმ. კალთაზე. სათავო სოფელი. რკინიგზის სადგური. ზ. დ. 550 მ, გურჯაანიდან 17 კმ. 2,0 ათ. მცხ. (2014).

კ. წყაროებში პირველად 1392 საკათოლიკოსო სოფლების ნუსხაში გვხვდება. სოფელი მოხსენიებული აქვს ი. გიულდენშტედტს. სოფელში დგას XVIII ს. წმ. ნინოს დარბაზული ეკლესია. სოფლის ზემოთ, სასაფლაოზე, – წმ. გიორგის ე. წ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა, რ-იც VI–VII სს. განეკუთვნება. XVI ს-ში ეკლესია მოუხატავთ. დას. ფასადის წყობაში ჩასმულ ქვაზე ამოკვეთილი წარწერიდან ირკვევა, რომ 1873 სოფლის მოსახლეობას ეკლესია განუახლებია. 2009, მხატვრობის კონსერვაციისას, საკურთხევლის აფსიდის ჩრდ. ნაწილში, კედლის ზედაპირიდან ჭვარტლის მოხსნის შემდეგ, გამოჩნდა წმ. ნინოს გამოსახულება შესაბამისი ასომთავრული წარწერით. სოფლის ზემოთ, ტყეში, კიდევ რამდენიმე ეკლესიაა – სამყინაურის (VI–VII სს.), უნაგვერდის (VI–VII სს.), კორდომიანის (IX ს.) და მთავარანგელოზთა (შუა საუკუნეები). განსაკუთრებით საინტერესოა სოფლის სამხრ.-დასით, ხუთიოდე კმ-ის დაშორებით მდებარე მონასტერი, რ-იც IX ს-ით თარიღდება. მონასტერში შედის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, მცირე სამლოცველო, სატრაპეზო, მარანი, საძვალე, კარიბჭე და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნანგრევები.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 1-I, თბ., 2013.